ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ანთროპოლოგია / Anthropology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ანთროპოლოგიის დოქტორი/ PhD in Anthropology
სწავლების ძირითადი დარგი/ სპეციალობა: ანთროპოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კვლევით კომპონენტზე.

სწავლების ენა: ქართული ენა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ანთროპოლოგია მიიჩნევა ჰუმანიტარულ მეცნიერებად, რომელიც ადამიანს შეისწავლის სოციალური, კულტურული და ფიზიკური განზომილებების მიხედვით, ხოლო კვლევის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ეთნოლოგიური მიდგომები წარმოგვიდგება. ამავე დროს არსებობს ანთროპოლოგიის გაგების განსხვავებული ტრადიციები (მაგალითად, ფრანგული სკოლა ანთროპოლოგიას სოციოლოგიის ქვედარგად აღიარებს, ანგლოსაქსონური ტრადიციით იგი ოთხი დარგისაგან შემდგარი პოლიდისციპლინური მეცნიერებაა და სხვ.). განსხვავებული მიდგომა იყო ჩამოყალიბებული საბჭოთა სივრცეში, სადაც ტერმინით – ანთროპოლოგია მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგია აღინიშნებოდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში გაფართოვდა მისი მნიშვნელობა. ანთროპოლოგიური კვლევები დღეს გულისხმობს საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე მსოფლიოში ადამიანისა და საზოგადოების არსებობის სოციალური და კულტურული ფორმების შედარებით და გლობალურ შესწავლასთან.

ა) პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს თანამედროვე ანთროპოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით, საველე სამუშაოების ჩატარების, დაკვირვების, ინტერვიუერების, პროგრამული დოკუმენტების ანალიზის, მასობრივი მედიის საშუალებებში მოცემული ინფორმაციის ანალიზისა და სხვა ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენების საფუძველზე, **ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის საკვლევ პრობლემათა ნუსხაში** შედის როგორც მაკროანთროპოლოგიური, ასევე მიკროანთროპოლოგიური თემები: ანთროპოლოგიის ისტორია, სიმბოლოთა სისტემები, ეკონომიკური ანთროპოლოგია, გენდერული ურთიერთობები, მიგრაციები, ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე მოქმედი ფაქტორები, ეთნოსთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციული სისტემები, სხვადასხვა სახის კონფლიქტები (იქნება ეს ეთნიკური,

რელიგიური, სოციალური თუ სხვა), და სხვა. ამავე დროს, არანაკლები მნიშვნელობისაა არსებული ეთნოგრაფიული რეალობის (ეთნიკური თუ ეთნოგრაფიული თავისებურებების) ფიქსაცია, რიგ შემთხვევებში ზოგიერთი ტრადიციული ელემენტის აქტუალიზება (მაგ. სოციალური კონტროლის მექანიზმები, ურთიერთდახმარების ფორმები და სხვა). ასევე თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ეთნოგრაფიული მახასიათებლებითაც მიიპყროს და ისინი მარკეტინგული თვალსაზრისით გამოიყენოს. რეგიონული თვალსაზრისით **უპირატესობა მიენიჭება** კავკასიისა და შავი ზღვის აუზის რეგიონების კვლევას; კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ეთნოგრაფიული რეალობისა და თავისებურებების, ანთროპოლოგიური პრობლემების მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. მათ მომზადებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახლემწიფოსთვის, რადგან დღეისთვის და მომავალშიც ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა იყოს რეგიონში ისტორიული და მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები. რეგიონის ანთროპოლოგიური კვლევის აქტუალობა ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის დღევანდელი საჭიროებებიდანაც გამომდინარეობს. საქართველოს გაუძნელდება სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და განვითარება თუ არ ეყოლება სპეციალისტები, რომლებიც სათანადო ანთროპოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეძლებენ პროგნოზირებადი გახადონ საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონებში მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები.

ბ) პროგრამის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება : ანთროპოლოგიის დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის ანთროპოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებები და უახლესი კონცეფციები; აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ადამიანის კულტურასა და სოციუმში არსებობის შესახებ, შესაბამისი კომპეტენცია კულტურულ, სოციალურ და ქცევით საკითხებში, შეუძლია მონაწილეობის მიღება ეთნიკურ პრობლემათა განხილვა-მოგვარების მიმართულებით წარმართულ საქმიანობაში; აქვს პროფესიული კომპეტენცია ანთროპოლოგიური კვლევის ცალკეულ ქვედარგებში, რაც შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; აცნობიერებს ანთროპოლოგიის ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში. ახალი მიდგომების გამოყენებით აანალიზებს ყოფისა და კულტურის ფუნქციონალური ელემენტების არსს; განიხილავს საზოგადოების მახასიათებლებს, როგორც დიაქრონულ ასევე სინქრონულ ჭრილში; აკვირდება მიმდინარე ეთნო-კულტურულ პროცესებს და აკეთებს პროგრნოზს მათი განვითარების პერსპექტივების შესახებ; იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერების მის მიზნებსა და შედეგებს.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ანთროპოლოგიის დოქტორს შეუძლია იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, ახდენს უკვე არსებული ცოდნისა და მონაცემების ახლებურ ანალიზს, მას შეუძლია შეიმუშავოს ახლებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით. შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეუძლია დარგის სამეცნიერო აპარატით ოპერირება და წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლია არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლია კვალიფიციურად მოამზადოს დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები; შეუძლია ანთროპოლოგიასა და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება. შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ. აქვს ემპირიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეუძლია საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრა და დასაბუთება, მასალის მოძიება, კრიტიკული ანალიზი, სისტემატიზაცია, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება, კვლევის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით. კურსდამთავრებულს შეუძლია დარგობრივი სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით;
კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში დანერგვა. შეუძლია სამეცნიერო კვლევების შეფასება და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩინა, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ.

გ) დასკვნის უნარი – კურსდამთავრებულს აქვთ ანალიზისა და სინთეზის უნარი (კოგნიტიური უნარები); სწავლისა და კვლევის დაგეგვმა-ორგანიზების უნარი (მეთოდოლოგიური უნარი): სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების უნარი (ტექნოლოგიური უნარები); ანთროპოლოგიის დოქტორს ღრმა ანალიზის შედეგად შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, სათანადოდ შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება; რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება. შეუძლია დაინახოს მთელის ნაწილები, მათი ურთიერთკავშირები და ერთიანობა;

დ) კომუნიკაციის უნარი – ანთროპოლოგიის დოქტორს შუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენაზე. აქვს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარი. შეუძლია სამეცნიერო დიალოგის წარმართვა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატიკურ პოლემიკაში ჩართვა მშობლიურ და უცხოურ ენებზე. პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით შეუძლია საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და ტაქტიკის და რიტორიკის კანონების ადეკვატურად გამოყენება. სხვების პოზიციის შეფასება/განხილვა კორექტული სახით; აქვს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები.

ე) სწავლის უნარი – ანთროპოლოგიის დოქტორს აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას ხელს უწყობს შეისწავლოს და შეიმეცნოს ახალი იდეები, მზად იყოს ახალი ცოდნის არა მარტო შესაქმნელად, არამედ სხვის მიერ შექმნილი ახალი ცოდნის მისაღებადაც. შეუძლია წარმატებით აითვისოს კვლევის უახლეს მეთოდები; შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს სწავლის პროცესი. აქვს კრეატიული აზროვნება და შეუძლია ახალი იდეების გენერირება; აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას, შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს სამეცნიერო პროფილი და მოახერხოს ახალ ვითარებასთან ადაპტირება. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძვლებს. მონაწილეობს ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში.
კურსდამთავრებულს აქვთ სისტემური უნარებიდან დამოუკიდებელი სწავლისა და მუშაობის, პროექტის შემუშავების უნარები. ახალ სიტუაციაში ადაპტირების, მოპოვებული მასალისა და ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის უნარი და ეთიკური პრობლემებისადმი ცნობიერი დამოკიდებულება.

ვ) ღირებულებები – ანთროპოლოგიური დარგობრივი ცოდნა გულისხმობს ფართო ჰუმანიტარული ხედვისა და ღირებულებების კვლევასა და გადაცემას. კურსდამთავრებული ფლობს მეცნიერული ეთიკის ნორმებს, აქვს ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის უნარი; შეუძლია პროფესიული ღირებულებების დაცვა. აქვს ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა კოლეგებთან ურთიერთობისას. მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ობიექტები. პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს, ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, შეუძლია არა მარტო ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება, არამედ მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებაც.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური (ზეპირი პრეზენტაცია,), პრაქტიკული (პროექტის შემუშავება და წარმართვა), წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.
სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით ხელმძღვანელის მიერ 60 ქულის (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია 40 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევით კომპონენტი:
დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო რეცენზირებისათვის წარდგენილი სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.
ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.
გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.
დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.
ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.
თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი)- შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი)- – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულს შეეძლება ასწავლოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ან იმუშაოს სამუზეუმო, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვაში, იმუშაონ ეთნიკური, კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური საკითხებით დაკავებულ როგორც სახელმწიფო ასევე არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, ასევე მასობრივი მედიის საშუალებებში და ტურისტულ სააგენტოებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, განათლებაში, სამართალში, სოციალურ მეცნიერებებში, ხელოვნებაში, ჯანდაცვაში, და მიმართულებათშორის დარგებში (როგორიცაა კულტურის კვლევები, რეგიონმცოდნეობა)
- ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე სერტიფიკატი და/ან შესაბამისი გამოცდა.
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;

- გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

სასწავლო კომპონენტი:
დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას. სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც დოქტორანტი მუშაობს სწავლების პერიოდში უნდა იყოს მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის კვლევაში.
სასწავლო გეგმა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან.
დოქტორანტმა **სასწავლო კომპონენტის ფარგლებში უნდა გაიროს 60 კრედიტის** ოდენობის სასწვლო კურსები.

კვლევითი კომპონენტი – 120 კრედიტი

- დოქტორანტის I კოლოქვიუმი (სავალდებულო) – 20 კრედიტი
- დოქტორანტის II კოლოქვიუმი (სავალდებულო) - 20 კრედიტი
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 80 კრედიტი

პროგრამის პირველ ეტაპზე დოქტორანტები გაივლიან საერთო საუნივერსიტეტო კურსებს. ასევე მოემზადებიან ანთროპოლოგიურ მეთოდებსა და თეორიებში, დაამუშავებენ სპეციალურ ლიტერატურას, საჭიროების შემთხვევაში გაივლიან დარგობრივ სალექციო კურსებს. ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტი წარმოადგენს სადისერტაციო თემის გეგმას, სადაც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული საკვლევი პრობლემა/ჰიპოთეზა, მისი სამეცნიერო ღირებულება და აქტუალობა, საველე კვლევის სრული გეგმა და კვლევის მეთოდების ცოდნა. დოქტორანტის სწავლება გულისხმობს როგორც ფორმალურ ინსტრუქციებს ლექცია-სემინარებზე, ასევე დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებას, რომელიც წარმართული იქნება პროგრამაში ჩართული პროფესორების ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით. დამოუკიდებელი კვლევითი პროექტი იქნება სადოქტორო დისერტაციის საფუძველი. დოქტორანტს მოეთხოვება კოლოკვიუმზე ყოველი წლის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ და შეძლოს სამეცნიერო დისკუსიაში ჩაებას საკვლევი პრობლემის ირგვლივ. დოქტორანტები ჩართული იქნებიან ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: პროგრამის მუშაობისათვის მატერიალურ ბაზას წარმოადგენს თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტი, იქ არსებული ბიბლიოთეკები და ტექნიკური აღჭურვილობა, ისევე როგორც ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და რესურს-ცენტრი

დოქტორანტების რაოდენობა: 4 დოქტორანტი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი

ხუციშვილი ქეთევანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თოფჩიშვილი როლანდი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

გუჯეჯიანი როზეტა, ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი

მინდაძე ნინო, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი

ბითაძე ლიანა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

ა) სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი)

სავალდებულო კურსები / აქტივობები– 35–30 კრედიტი (ECTS)						
	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სემესტრი	ლექტორი/ები
1	სწავლების მეთოდები	5	63 სთ. ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	62 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ეთერ ღვინერია
2	მეცნიერების მენეჯმენტი	5	48 სთ. ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	გიორგი ღვედაშვილი, თამარ გოგუა
3	დოქტორანტის სემინარი	15			შემოდგომა/ გაზაფხული	
4	პროფესორის ასისტენტობა	5			შემოდგომა/ გაზაფხული	

5	აკადემიური წერა - (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები წინა საფეხურზე არ გაუვლია)	**5**	48 საათი. ლექცია – 15, პრაქტიკუმი –30 საათი. გამოცდის ჩატარება – 3 საათი.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი
არჩევითი კურსები / აქტივობები 25 -30 კრედიტი (ECTS)						
	ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	**10**	36 სთ. ლექცია – პრაქტიკუმი 30 სთ. გამოცდის 6 საათი.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	შოთა ბარბაქაძე
3	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები	**10**	36 სთ. ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 15 სთ.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ირინე დარჩია
4	დოქტორანტის სემინარი	**15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
5	პროფესორის ასისტენტობა	**5–15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
6	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში	**5–25**			შემოდგომა/ გაზაფხული	

	მოსმენილი სადოქტორო კურსები					
7	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	**5–15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
8	უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსები	**5–30**			შემოდგომა/ გაზაფხული	
9	სხვა სახის აქტივობა	**5–10**			შემოდგომა/ გაზაფხული	

ბ) კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი)

სავალდებულო – 120 კრედიტი (ECTS)				
	აქტივობის სახე	**კრედიტების რაოდენობა**	**სემესტრი**	
1	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული	
2	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული	
3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	80 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული	